

მეცამდე.

ეროვნული ეროვნული
გაზეთი.

კვ რა 11 აპრილი 1920 წელი ქ. თურქეთი.

ოზურგეთის საზავ, ეროვნული ხმოსანთა საყურადღებოთ:

მიმდინარე აპრილის 20-ს, შუადღის 3-სათსუ, ქ. თურქეთში ეროვნული ბინაჟ, (კუჩუკის სახლი) მოწვეულია **ოზურგეთის სამაზრო ეროვნული ხმოსანთა მორიგი ყრილობა.**

განსახლდელია შემდეგი საკითხები:

- 1.) მოსწენება ვამ. ეროვნული მოქმედების შესახებ,
- 2.) განხილვა და დამტკიცება 1920 წლის ხარჯთაღრიცხვისა,
- 3.) მიმდინარე საკითხები.

ოზურგეთის სამაზრო ეროვნული გაგებობა.

11 აპრილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა განსაკუთრებულია. ეს მდგომარეობა შექმნილია ჩრდილოეთის საფრთხით, რაჟი გამოიხატება ბოლშევიკების ჩვენს საზღვრებთან მოახლოებით. უმთავრესი ყურადღება საქართველოს დემოკრატიის და მისი მთავრობის დღეს ჩრდილოეთისაჟენ არის მიქცული. მოხალისეთა ჯარი და მისი საზღვრება, რომელიც დღევანდელი ჩვენი დამოუკიდებელ არსებობის ემუქრებოდა და გზა-კვალ აბნეული თავის მტრებზელ ხელს ჩვენსაჟენ ამოტყუებდა, დღეს სასტიკათ დამარცხებული, სრულიათ განადგურებული, კაცების მზრიდან ჩვენს საზღვრებს მოადვა და ჩვენს მთავრობას განსაკუთრებით უარი მიიღეს. ისინი იძულებულნი დარჩენ აეყარათ იარაღი და ყოველიჟე სამხედრო მოწყობილებე ჩაგებარებიათ ჩვენი მთავრობისა.

თვის და ამ რიგით, სრულებით განიარგებული, ბრძოლის უნარს და საშუალებას მოკლებულნი მიიღო ისინი ჩვენმა მთავრობამ. მოხალისეებმა თავი შეიფარეს, სიკოცხე შეინარჩუნეს იმ ქვეყანაში, რომლის დაუფრებელი მტრებიც ისინი იყვნენ. აქ იბადლება საკითხი: მიგველო უნდა, თუ არა ჩვენს ისინი, და გვექონდა, თუ არა უფლება მათი არ მიღებისა? ამაჟე მასული მხოლოდ ერთი შეიძლება. ჩვენ უნდა გვანსოდეს, რომ საქართველო არის საერთაშორისო ოჯახის სრულფუნქციანი წევრი, ის ცნობილია უმადღეს საბჭოს მიერ და, როგორც ასეთი, ვალდებულია დემოკრატიული ყველა იმ კანონებს და ნორმებს, რომლებიც საგაღდებულო არის ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოსათვის. და აი სწორათ ასეთი კანონის ძალით ჩვენ არ გვექონდა უფლება მათი არ მიღებისა. მათ ჩვენ მიგვეცით საშუალება მხოლოდ და მხოლოდ სიკოცხლის შენარჩუნებისა. ისინი ისეთს პირობებს და მდგომარეობაში ყვეს ჩვენს მთავრობას, რომ მათ არ და-



ლუმი რაივე მუშაობა აწარმოებენ, ან ჩვენს, ან ვისმე წინააღმდეგ ჩვენ მივიღებ მოხალისეები ისე, როგორც ამასწინათ მივიღებ და თავშესაფარი მივიცით მათ შერე შვიწროებულ და ჩვენს საზღვრებთან მორავილ ბოლშევიკებს.

ამ შემთხვევაშიც სწორი და უტყუარი არის ჩვენი მთავარი პოლიტიკა. ის ასრულებს საერთაშორისო კანონების ნორმებსაც და მასთან აყენებს იმ ჩვენს შტრატებს, მარჯვნიდან არიან ისინი, თუ მარცხნიდან, ისეთი მდგომარეობაში, რომ ისინი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ ჩვენი დემოკრატიისათვის და დამოუკიდებელი არსებობისათვის.

ასე თუ ისე, დღეს ფაქტია, რომ ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის დენიკინელების ბუფერი აღარ არსებობს და ჩვენ ბოლშევიკებთან საერთო ფრონტი გვაქვს. ჩვენს მთავრობას არა აქვს ჯერ აბუთი ინიჭიროს, რომ რუსეთის საბჭოთა წითელი არმიამ, როდესაც ის ჩვენს საზღვრებს მოადგება, სპეციალურად შეტევა განაგრძოს, თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი არც ამას მოგრიდებოან და ჩვენ ყოველ შემთხვევისათვის მზათ უნდა ვიყოთ. არც ისეთი დიდი მათი სამხედრო ძლიერება, როგორც ამას ისინი ყვირიან. მათი წინსვლა არ აიხსნება მათი ძლიერებით, არამედ მათი მოწინააღმდეგეების დაუძღვრებობით. მოხალისეებმა დაპყარებს ბრძოლის უნარი, ისინი შეიპყრო წარმოუდგენელმა პანიკამ და უბრძოლველათ დასტრავეს თითქმის მთელი ჩრდილო კავკასია. და აი სწორედ მოხალისეების მიერ მიტოვებულ ადგილებს იჭრენ პირველათ ადგილობრივი ბოლშევიკები და იცხადებენ საბჭოთა მთავრობას. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რომ კავკავი, დღებტერი, პეტროპოლისი და სხვა მთავარი პუნქტები ჩრდილო კავკასიისა არის ხელა დაკავებული წითელი არმიელეთის შერე, თუ არა. ერთი კი ცხადია, რომ, თუ ისინი მოადგებიან ჩვენს საზღვრებს და შემოუტევენ ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენი ჯარი და გვარდია საბჭო და სახმედო ძალის წარმოადგენენ, რომ მათ სასტიკი პასუხი გასცენ და ჩვენი საზღვრებიდან უკვე აგდონ. ჩვენ და სასარგებლოთ ლაშარაკობს ჩვენი საზღვრების სტრატეგიული მდგომარეობაც. რჩი უმთავრესი გზა არის, რომლითაც ბოლშევიკებმა უნდა შემოუტეონ საქართველოს. ერთი არის დროილი, მეორე კი—საოისი კარები. ორივენი ისეთს ბუნებრივციხე—სიმაგრეს წარმოადგენენ, რომ სულ მცირე რიცხოვან ჯარს შეუძლია შრავილი რეზონანტის რაზმი დაამარცხოს. მაგრამ არის ერთი

მიმართულება. რომლიდანაც უფრო მტკიცე საზღვრები გასაძლიერებელია. ეს არის ბაქოს მიმართულება. თუ დავიწყებთ ბაქოს მთავრობამ ვერ დასცვა თავისი რესპუბლიკა და ბოლშევიკები ბაქოს დაეპატრონენ, იმ შემთხვევაში მათ უფრო ვაუადვილებათ საქართველოს გამოსაჭრება, რადგანაც საქართველოს და ადგილებზე გასს შორის არ არის ისეთი ბუნებრივი საზღვრები, როგორც არის დარიალის და სოისი კარები. მაგრამ სიმაგრეთი ეს შესაძება მათთვის მეტათ საბოლოათა და ავანტიურისტული იქნება. ყოველ შემთხვევაში სრული იმედი უნდა ვიპყროთ, რომ სიდიდანაც და ვინც არ უნდა მოადგეს ჩვენს საზღვრებს, თუ კი შიგნით იქნება სიმტკიცე და ჩვენი დემოკრატია არ ასდებთ იმ სწორ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მარჩინა დიდი ბევრი დღის პრაქსისი, ჩვენი შეინარაღებული ღირსეულობა და ვილილის საბო ყოველ შემთხვევაში სავრთხის იქნება ავანტიურისტული.

საუპარო მკითხველთან

კრება და კოპირება.

II.

ის საზოგადოებრივი ეკონომიური ორგანიზაციები, რომელთა ჩვენს დემოკრატიულ საზოგადოებასთან დ მის ადგილობრივ თვითმართველობაში შეერთებაა შეკავშირება ჩვენ საქართთ მიგვანია და უნდა მიგვანდეს, გახდათ კოპირატიული საზოგადოებანი.

კოპირატიული საზოგადოება ორგანიზაცია: მომხმარებელი და მწარმოებელი. საქართველოს კოპირატივების დიდი უმეტესობა ჯერ უმთავრესათ მომხმარებელი კოპირატივებია. წარმოებას ჯერ ხმოლოდ იშვიათი მაკვანი ეწევა. ჩვენ აქ ვილაპარაკებთ უმთავრესათ მომხმარებელ კოპირატივებზე, ვინაიდან ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ კოპირატივის დიდა და იმის დამოკიდებულება დემოკრატიულ საზოგადოებისათვის და მის თვითმართველ ორგანიზებთან, და არა კოპირატივის ესა თუ ის დარეკი.

მომხმარებელი ამანავობა ეწოდება ისეთს საზოგადოებრივს ეკონომიურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია თავის წევრთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. ხნეველი მიზნის განსაზოცილებლათ საზოგადოება ცდილობს მოსახმარი სავენი მწარმოებლის ხელიდან პირდაპირ, უშუალოდ მიაწოდოს მომხმარებელს და ის ვაქარ—ექსპლოატატორთა ხელიდან განათავისუფლოს. გარდა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისა საზოგადოება მიზნად ისახავს აგრეთვე თავის წევრთა კულტურულათ ამა-

ლტობასა და ფიზიკურათ გჯგანსაღებას. ამ მიზნათ ის აარსებს სკოლებს, სამკითხველოებს, აგებს ხიდებს, გააკეთებს გზები და სხვა და სხვა. როგორც ხედავთ, კოოპერაცია და იმისი მიზანი ფრანკი სხარაგებელ და სიმპარტიურია, განსაკუთრებით საზოგადოების უღარბესნი, მშრომელი ელემენტებისათვის. ამიტომ კოოპერატიულ საზოგადოებათ ჩვენ ეხედებით ევროპის თანამედროვე მუშათა მოძრაობის უკვე თითქმის პირველსავე ხანებში. სსენებელი დაწესებულებებიან მუშათა კლასის ხელში მიღებულ ხდებიან იმ მძლავრ იარაღად ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, რომლითაც იწრთობა დ იკუდება სოლიდარობის იდეა, კლასობრივი შეგნება და სხვა წინასწარი პირობანი ჩაგრულთა გამარჯვების პარაზიტ კაპიტალისტებზე. კოოპერატიული დაწესებულებას, როგორც ჩაგრულთა კლასის ერთ-ერთი იარაღი მხავერდითა წინააღმდეგ—ეს უღარგნათ დემოკრატიული ორგანიზაცია არის თავისი მიზნებით და ასეთივე უნდა იყოს ის აგრეთვე თავისი შემდგენლობითაც. და მართლაც, სადაც მას საზოგადოების უღარბესნი წილის, ჩაგრულთა კლასის, ინტერესების სამსახური დაუსახავს თავის უმთავრეს საგნად, ის ციდილობს ფართედ გაულოს კარები მშრომელ მასსას, მიუღ დემოკრატისა. ამ მიზნის მისაღწევით ხსენებული საზოგადოება წევრობის საშუალებას იძლევის ისეთს ღარბ მომხმარებელსაც კი, რომელიც სხვაბოთა გადასახადის შეტანის საღარაკს ვა არ გააანინათ. ამისათვის ის აარსებს ერთ-გვარ პატარა წიგნაკებს, რომელშიაც უნდა აღინიშნოს წლის განმელობაში ამა თუ იმ მომხმარებელმა კოოპერაციისაგან თუ რამდენა ღირებულებების საგანი, შეიძინა და რა მოსახებო მისცა მას, როგორც მყიდველია, მუშტარმა, და ეს მოსახებო, თუ იმისი ნაწილი, ეძლეება მას ზიად და ის ბებება ნამდვილ წევრად კოოპერატიული საზოგადოებისა.

რამდენადაც ვიცით, ჩვენებელი კოოპერაციები, განსაკუთრებით გურიაში არსებულნი, ასეთს დემოკრატისმადე იშვიითად თუ ოღესმეც სადმე მისულან. მათი საფუძველი იყო მუდამ მაინც, გ. ი. შუხარაბეთი შეძლებული წევრები, მათი ერთადერთი საზრუნავი—თავის წევრთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახებო და სხვა, და არა მთელი მასსის ინტერესებისათვის სამსახური და სხვა. რაც შეეხება მათს საზოგადოებრივ კულტურულ მოღვაწეობას, მართალია, ვიცით თვითო-ორიოლა მავალითი სტაპენდებისა, წიგნის გამომცემლობისა, თუ სტუდიის დაარსების და სხვა, მაგრამ მათი ასეთი საქმიანობა უმთავრესათ შემთხვევითი, სასხეაო-შორისო ხასიათისა და უფრო წაბავს ბურჟუაზიულ ქველ-

მოქმედებას, ვინემ ნამდვილი მოვადოების შესრულებას დემოკრატის წინაშე.

ამნართ, თავისი პრინციპებით და შემადგენლობით ჩვენებელი კოოპერატიული საზოგადოებანი უფრო მოქვაგორებენ კომერციულს, ანუ სავაქრო ამხანაგობათ, ვიდრე ნამდვილ კოოპერატიულ დაწესებულებათ.

ასეთია მოკლეთ ხასიათი კოოპერატიულ საზოგადოებათა სერთობლ საქართველოში და კერძოა ჩვენში, გურიაში.

მიუხედავათ ამისა, ჩვენს კოოპერაციებს მიიჩიდილი ღვაწლი მიუძღვისთ ჩვენი ქვეყნის წინაშე, როგორც ეკონომიურის, ისე კულტურულის დაგრეთვე პოლიტიკურის მხრითაც. ისეთს ქვეყანაში, სადაც მშრომელი მასსა ელემენტარულ პოლიტიკურსა და მოქვაგორების უფლებებ მოკლებული არის, კოოპერაციებს არ შეუძლიათ არ ითამაშონ აგრეთვე პოლიტიკური როლიც. ასეთს ქვეყანაში კოოპერატიული ამხანაგობანი ხდებიან იმ მიუვალ ციხე—სიმაგრეებად, საიდანაც შეკავშირებულს, დარაბმულსა და გათვითცნობიერებულ მშრომელ ხალხს საშუალება ეძლევა ბრძოლა აწარმოვოს არსებული სახელმწიფო რეჟიმის წინააღმდეგ. ჩვენს კოოპერაციების წარმოშობა და მათი გასაძარჩისწრაფით ზრდაც სწორეთ იმ ხანას ეკუთვნის, როცა ჩვენში თვითმპყრობელობა იყო და ხალხს ფართო მასსა მის წინააღმდეგ სამეკრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა. ასეთს დროს კოოპერატიული დაწესებულება ერთი იმ დაწესებულებათაგანი იყო, სადაც მშრომელ ხალხს თავის მოყრა და ქვეყნის ბედზე სუა-ბაასი შეეძლო. ასეთს დროს ბუნებრივათ დიდი უნდა ყოფილიყო მნიშვნელობა კოოპერაციებისა, მიუხედავთ იმისა, იდგენ ისინი ნამდვილ კოოპერატიულ ნიადაგზე, თუ არა.

მაგრამ დრონი იცვალენ. ძველი წყობილება დაემხო და ჩვენ თავი ამოკუყვით ახალ სახელმწიფო წყობილებაში—საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ახალ სახელმწიფოსთან ახალი დამოკიდებულებაა საქართ. როგორც უნდა იქნას დამოკიდებულება კოოპერაციებისა ახალ სახელმწიფო წყობილებასთან—ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან?

(გაგრძელება იქნება.)

მ.—ა.

გაზიგობის დაღმანილიმიდან:

— შეგნინილ იქნას ქ. თფილისში პოლკაენიკ აგეტისოვისაგან ეტლი ოთხი ცხენით და ყოველივე

მოწყობილობით ორას ორმოცო ათას (240000) მანათად.

— შექმნილ იქნას მომარაგების სამინისტროსგან მაზრის სახელმწიფო და საერობო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის სურსათ-სანოვაგე იაფფასებში. ამ მიზნისთვის გადაიდოს ორას ორმოცდაათი ათასი (250,000) მანეთი.

— შექმნილ იქნას სამხედრო აღრიცხვის უფროსის ბნ ლორთქიფანიძისაგან ეტლი ოცდახუთი ათას (25,000) მანეთად.

— მიეცეს სესხად 1-ლ ბატარებს საარშო საირტილგეო დივიზიონისა ოცდაათი ათასი (30,000) მან. ფულად და ერთი ვაგონი თივა.

— დამტკიცდეს 1920 წ. ხარჯთაღრიცხვები შემდეგი თემებისა.

- 1, ზახვის თემისა, რომლის ბალანსი გამოიხატება (200,000) მან.
- 2, ასკანის ბალანსი 247,410 მან.
- 3, გურიანთი ბალანსი 79,850 მან.

— ზონტაურის გინაზიაში მომხდარ ინციდენტის გამოსარკვევთ დაინშნოს გამოძიება. გამოძიება მიენდოს გავგ. წყნოთ კ. ჭავჭავაძეს და პლ. კვიციანიას.

— დამტკიცდეს ახალ დაარსებული ხაჯალია-ვბლაურას თემის საბჭოს არჩევნები თანახმად ახალი საბჭოს დადგენილებისა დაგრძევის ამ თემს „ნიგვიზიანის თემი“.

— ნიგვიზიანის თემის საბჭოს დადგენილების თანახმად აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ სადგურ ჯუმათს დაერთვის სახელად ნიგვიზიანის სადგური.

— შოქ. დიშ. ცეცხლაძე მიღებულ იქნას ერობის სამსახურში და დაინშნოს ის სამეურნეო მაწილში. მისი ჯამჯირი განისაზღვროს ახალი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს.

— ტენიციოს ვლიად. ჯორბენაძე განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან 1 აპრილიდან ა.წ. თანახმად მისი თხოვნისა.

— ზუგ გაიყილოს ფუთი საშოკდა თუთხმეტ (75) მანეთად.

— არ იქნას დამტკიცებული ჩონხათის თემის ხარჯთაღრიცხვა, ვინაიდან ის შედგენილია მხოლოდ ნათი. მოგვიხოვოს ხსენებული თემის გამგეობას შოელი 1920 წ. ხარჯთაღრიცხვა.

— თანახმად მათივე თხოვნისა დათხოვნილ

იქნას სამსახურიდან მუშები: კ. ერმაკოვი და ვ. კარასენკო 1 აპრილიდან ა. წ. დ. მამუკაძე და მამუკაძე სამგზავრო ხარჯებისათვის ორასი (200) მანეთი თვითუფლს.

თქმთა დადგენილებიდან

ოზურგეთის თემი.

— გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე ამხილო ლლონტი; საბჭოში მოისმინა მოხსენება, იწონებს გამგეობის მუშაობას და გალდის შემდეგ კითხვებზე.

— საბჭო აღსატურებს სამაზრო ერობის გამგეობის მიერ დამტკიცებულ სახელწოდებას „ოზურგეთის თემი“.

— თანახმად გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტისა ჯამჯირი უნდა მიეცეს მხოლოდ გამგეობის თავმჯდომარეს და მის ახანავს; მღონად მოწვეული უნდა იქნას კეძოპი პირი და აგრეთვე დაპირებული იქნას კანკელარიისათვის დორაჯი.

— საკითხი დუბაზუს თემთან ჩვენი საზარო ქონების შესახებ დარჩეს დიათ პირივე კრებამდე.

— განხილულ და დამტკიცებულ იქნას მიმდინარე წლის 10 თვის ხარჯთაღრიცხვა შემდეგი სახით:

- ა) თავმჯდომარეს 1 აპრილიდან—4000 მ. (მარტის კი 3.000 მ.) თვეში; ბ) მის ახანავს 3500 მ. (მარტის კი 3000 მ.); გ) მღონას—2000 მ.; დ) დორაჯს 1000 მ.; ე) საკანკელარიო ხარჯები, გათბობა—განათება—7000 მ.; ვ) ბინის ქირათვეში 5000 მ.; ზ) კანკელარიის ხარჯებისათვის ნივთების შესახებთან 6000 მ. ა) სკოლის ხარჯები: 1) სოფ. ვეზა-დლის სკოლის—7800 მ.; 2) გაღმა მულქელარის სკოლის 9800 მ. 3) სოფ. ოზურგეთის სკოლა 7400 მ. ბ) შოლოდენელი ხარჯები—5500 მ.; კ) საეტიშო პუნქტის მოსაწყობათ—5.000 მ.; ლ) ე. ე. ე. გ. გამოსაწვით—594 მ.; მ) სულ ას ორმოცდა თუთხმეტი ათას ოთხას ოთხმოცდა თუთხმეტი (155 494) მან.

— საეტიშო სამრეწველო ოპერაციებისათვის ნება მიეცეს გამგეობას აილოს სესხად 200 000 მან.

— ვინაიდან ზმონების განცხადებისაგან გა-მოირკვა, რომ ტუის ადმინისტრაციის ოფუოდლე-ბობის გამო ოზურგეთის ლაზში ტყე ნადგურდება მოზარდი ხეების განხეთ, საბჭო ავალბეს გამგეო-ბას აღძოს სათანადო შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, ამის წინააღმდეგ საკირო ზომების მისაღებათ.

— არჩეულ იქნას: ა) სასკოლო კომისიაში: 1. იესიხი სალუქაძე, 2. დიმიტრე შირაძე, 3. გიორგი ლომაძე, 4. ისიდორე მუჯირი და 5. ერთილელ ლლონტი; ბ) საავტარიო კომისიაში: 1. სიმონ ლლონტი, 2. სამსან ქავჯარაძე, 3. იოსებ გორგილაძე; გ) საფინანსოში: 1. ლუკა ჩავლეშვილი, 2. ივანე გორგილაძე, 3. ივანე ურუშაძე, 4. აგია ხელოძე და 5. იესიხი ცერცვაძე.

დ) სარევიზიოში: 1. ლუკა ჩავლეშვილი, 2. სიღვენ ხინთიბიძე და 3. დიმიტრე შირაძე. ე) საგზო-საწყლოში: 1. ანდრი მხატვარი, 2. ხალიმბერ ხელოძე, 3. იოსებ გორგილაძე, 4. არტემ ურუშაძე და 5. ივანე ქაღიგიშვილი.

ვ) სარეკლამენტოში: 1. ლუკა ჩავლეშვილი, 2. ივანე გორგილაძე და 3. ივანე ურუშაძე.

ქ რ ა ნ ი კ ა .

— თებერლის და მარტის განმავლობაში მზარის საერთო საკოლების მთავარმა ინსტრუქტორმა გ. გოგუაძემ დათვლიერა შემდეგი თემების საკოლები: ზვარბეთის, მიქელ-ვახრაილის, სუფსის, ჩინხათის, ჯუშათის, ძიმიოის, აცანის, ნავაზის, ავეთის, ამაღლების, ხიდისთავის, ასკანის და მახვის. ყოველგან მოხდა მასწავლებელთა კრებები 2—3 დღით. კრებებზე ირჩეოდა პედაგოგიური ხასიათის კითხვები. მოხსენებებში, როგორც ინსტრუქტორი, ისე მასწავლებლები, ეგებოდნენ ყველა სასწავლო საკვებს, როგორც დაწყებითის, ისე უმაღლეს დაწყებითს სასწავლებლებში.

სათემო თვითმმართველობის გარშემო.

•გერ ერთი წელი შესრულდება, რაც ჩვენ გვაქვს სათემო დემოკრატიული თვითმმართველობა, რომელშიც ასე თუ ისე შესლო მხოლოდ აღმინი სტრატული მაირატის მოწოდებება თქმში სხვა მხრივ კი, აქა თუ იქ, იშვით გამოხატვის არ მივალბთ მხედველობაში. მისი შემოღება უკუ-ჯერობით ნაკლებით ემჩნევა სოფლის ცხოვრებას. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის აღმინისტრაციის გაჯნაღებას, მის ხალხთან დაახლოვებას. დღეს აღარ აქვს ადგილი მაქსიალისთ თაგინდობას, მეთრახს, უ მარადობას, ქრამით აღარ იკრუება წუთელი და ყვთელი ჩაბები, მისე მწერალი აღარ სძიძგნის სუფელს—ყველა ეს ხომ კარგია, მაგრამ მარტო ამით ვერ დავკმაყოფილებთ, მარტო ამით არ ვანისხლდრუება ადგილობრივი თვითმმართველობის მოღვეწეობა: ხალხურ მართვა-გამ-

გეობას, ვარდა დემოკრატიულ წესწესებულებას განმტკიცებისა, მიხნად უნდა ქონდეს დასახლებული ხალხის კულტურული—ეკონომიური აღორძინება. მან უნდა გამოადიდოს ხალხში ინიციატივა, აღუქმას წყურბული შემოქმედების და სოციალური ცხოვრების გაჯანსაღების, უნდა უხვლმძღვენდეს ხალხის გნერგის, რომ ხალხი ყოველ-დღე რწმუნდებოდეს საერთო შრომის ნაყოფიერებაში, რომ თვითმართვა არის ვრთად-ვრთი საშუალება სოციალური ცხოვრების გასაღებდგნელათ და საერთო ზედნიერების მისაღწევათ.

ამ მხრივ კი ჩვენს სათემო თვითმმართველობებს ჯერ კიდევ მუშაობაც არ დაუწყიათ.

ყოველგვარ სახალმწიფო, თუ საზოგადოებრივ წესწესობილებას ხალხი აფასებს პრაქტიკული თვალსაზრისით: თუ რამდენად სახარჯებლოა ის, და რამდენად თვალსაჩინოა ეს სარგებლობა. თუ ასაღმა წესწესობილებამ ვერ გაამართლა მასვე დამყარებულ ხალხის იმედები, თუ პრაქტიკული შედეგებით ვერ დარწმუნდა ხალხი მის დირებულებაში, ახალი წესწესობილების იდეა, რაც უნდა კარგი იყოს იგი, მიხედვალე გაკორტდება და მალე იცრუებს მასვე გულს ხალხი. ახალი წესწესობალებმა თავს შეაყვარებს ხალხს არა პრაგული დაპირებებით და ლოზუნგებით, არამედ იმით, თუ რამდენად ამხორციელებს ის ხალხისთვის სასარგებლო დაპირებებს.

ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის სახის და პრაქტიკების მატარებელი და განმხორციელებელი არის ხალხთან დაახლოვებული ორგანო—სათემო თვითმმართველობა. თუ ეს თვითმმართველობა ხალხის თვალში ვერ დამსხურებს ნდობას და სიყვარულს, მაშინ ადვილათ გაკორტდება ხალხური მართვა-გამგეობის იდეა, ხოლო აქ კი რაგაქცის დასაწყისია. მარტო აღმინისტრაციული აპარტით არ შეიძლება ნდობის და სიყვარულის დამსახურება, ამისთვის საჭიროა სათემო თვითმმართველობამ გააფართოვოს მოქმედების ასპარეზი, შიპკილის ყურადღება ყველა იმას, რაც სტიკია ჩვენს სოფელს და გამოინახოს საშუალება ამ სტიკიელების ოდნავათ მისი შესასწავლებლობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდლის პირობებში. გულის თემის ჩამოვლამ დაზარწმუნა, რომ ზოგჯან სათემო თვითმმართველობები არ არიან კმაყოფილნი ეტლანდელი მუშაობით და ფიქრობენ დაწყენ ანამდელი საქმე, თუმცა ხშირათ არ იციან, თუ რაა ეს ნამდვილი შემოქმედებით „საქმე“ და როგორ დიწყება ის. თუმცა ზოგ აღავას „ნამდვილ საქმეს“ ვარკვეული სახეც აქვს და კიდევაც კდილობენ მის განხორციელებას. ამასთან

თემის ცხოვრებიდან

აკეთი.

აღსანიშნავია ერთი სასიამოვნო მოვლენა: სადაც თვითმართველობა იჩენს საქმიანობის უნარს, იქ ხალხი დაუზარებლათ კისრულობს შრომას და ხარჯს, ხშირათ ძლიერ შიმშეს. დავისაზელებ ზოგ იმ „საქმეთაგან“, რაც დღის წესრიგში სდევს ამა თუ იმ თემის თვითმართველობაში: 1. სახალხო სახლის აგება და მოწყობა, 2. წიგნთ-საცავ-სამითხველოების გახსნა და შენახვა ყველა სოფლებში, 3. საყოველთაო დაწყებითი სწავლის განხორციელება, სასკოლო შენობების აგება, სადაც არ არის, და არსებული შენობების გადაკეთება, თანახმა სასკოლო ჰაჯინის და ხურთა — მიძღვრებისა, 4. საეკერაო სკოლების გახსნა, ლექციების და წარმოდგენების მოწყობა, 5. საინტარული ჰობობების გაფუძვლებება სოფელში, 6. აფთიაქების გახსნა და უფასო ექიმობა ღარიბთათვის, 7. თემის ფარგლებში ყველა გზების და საჭირო ხიდების გაკეთება, 8. მოწყობა სათემო წისქვილების, სამჭედურების, საღურგლოების, სახარბოების, კრამიტის და აჭურის ქარხნებს, კოპრე რატეების, სართავ-საქსიების, ხერხის ქარხნების, სპირტის ქარხნების და სხვა, 9. სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა ხელსაყრელათ ვასლება, 10. ადგილობრივ ნიადაგის გამოკვლევა და პირობების მიხედვით, შესაფერი მცენარის კულტურის გავრცელება, 11. სასაფარი მინდვრების და სანერგების მოწყობა, 12. ნიადაგის ხელოვნურათ მოვლა-გაყვება, 13. ქაობების გაშრობა, მოტრეტლებულ ხრიაკებზე და მალღობებზე ტყის ხელოვნურათ მოშენება, 14. მარალბეღელ მღინარებთან ბრძოლა: აჩხების, კედლების და დამბების გაკეთება, 15. წყალსადენების გაყვანა, 16. თხზუთ ცხოველების დფრინელების ჯიშის გაფუძვლებებსა და სავეტერინარო კონდის გავრცელება ხილში, 17. საცვებ ბალახ-ულობის თესვა-მოშენება და სხვა. ზოგან ელექტრონის სადგურების მოწყობასაც კი უჭიკობენ დელეგებზე. ასეთი საქმიანობის განხორციელებით თვითმართველობა დაიშახურებს ხალხის სიყვარულს და ხალხს მუდამ მასთან იქნება.

მათგობამ და სამახრო ერობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიუქციონ სათემო თვითმართველობას და ამოუჩინონ იდეური ხელშეწყობა და ნიეთიერი დაიხმარება. რაც ნაქლები იქნება კანკლარული ხასიათის ურთიერთობა და მეტი იქნება ცოცხალი სიტყვა და ცოცხალი საქმე, მით უკეთესია.

უნდა ვეცადოთ თემი გაჯანსაღდეს, ისა ჩვენ რესპუბლიკის ცოცხალი უჯრედი.

6 მარტს მიმდინარე წლის შესდგი აკეთის თემის მასწავლებელთა საერთო კრება. კრებას დაესწრო თემის მასწავლებელთა სრული შემადგენლობა და სამახრო ერობის მთავარი ინსტრუქტორი გბ. გოგუაძე. თავმჯდომარეობს წ. წულუკიძე კრების გახსნას, ვრცელს სიტყვას ამბობს ინსტრუქტორი ბ. გოგუაძე, ვრცელათ ლაბარაკობს, თუ რა არის საჭირო სახალხო სკოლის ნორმალურ ნიადაგზე დაყენებასთვის, ასხელუებს სკოლის ავთომეფორის მ შენებს, ადარებს ებონდელ სკოლებს წინანდელ შაბლონური სკოლას და ამბობს: სკოლა უნდა იყოს სკოლა მოქმედების და ამა მარტო სიტყვის, ისე ეროვნულ სახეს სკოლა ვერ მიიღებსო. მე ვეძახი ეროვნულ სკოლას ისეთ სკოლას, რომელიც შექმნის რაიმე ღირებულებას ეროვნულ საჭიროებისათვის, წენ ვასწავლით, მარა ჩვენ ვერ ვავსკოლებიგართ წიგნებს ჩვენ დღემდის ვერ მოვკებრებება სამშობლის დიად ბუნება. ვადუშალოთ თვალწინ მოზრბთ თობასო — ისეთ ნიადაგზე დაყენება სკოლის კი, როგორხედაც ის დღეს ღვას, სამუდამოთ დაბარჩავებ ნორჩი ახალ-ვაზრდობის დიადბუნებას, არ მისცემს მას საშუალებას თვითმოქმედების, თავისუფლით აზროვნების ჩვენ ასეთი სკოლებით დადებით შედეგებს ვერ მივიღებო, შეგვჩრება ხელში მხოლოდ ერთი ორი ინტელაგენტო, რომელიც ჩამოიფბატავს ქუდს თავზე, გაათავებს თობს ან ზეთს კლასს და გამოვა ცხოვრებაში დაბრმავებოთ. ამ გვარ შემთხვევაში ცხადია, თუ ათლად ამა, ნაწლობოიკი ძიოც დაძნაწევი მასწავლებელია. მართალია, ნიეთიერი მდგომარეობა მასწავლებლებს ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული და უზოუნველყოფა მასწავლებლების აღემატება ნორჩი ერობის და რესპუბლიკის შემდგომს, მაგრამ მასწავლებლები წინათაც ხასიათდებოდენ და ეხლაც უნდა ხასიათდებოდენ ხალხისადინ საშახურით, თავიონ ერის სიყვარულით. იმისთვის, რომ ნიეთიერი მდგომარეობა ჩვენს გაუმჯობესდეს, საჭიროა დავიშახუროთ ხალხის და განსაკუთრებით მთელი საბოლოოწიფის ყურადღება. მეტ დ შ ნაოსისან მიხსენებას შემდეგ შემუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) ქართული ენის დავცენება სკოლებში და მისი მიზანი; 2) რუსული ენა; 3) წერითი საგარჯიშოები; 4) მათემატკური საგნების სწავლება; 5) ბუნების მეტყველება; 6) გეოგრაფია; 7) მიწის ძვისსაგან დაზარალბული გორელების დახმარება; 8) ეურჩი—ვახებების გამოწერა; 9) საინიშუო გაყვითლების მიცემა; 10) არჩენები. ქართულ ენის შესახებ მოხსენებას კითხულობს აკე-

გაბრაუდ გოგუაძე

თის უმ. დაწ. სასწ. ქართული ენის მასწ. მღ. ლავ. წულავე. მოხსენება შესდგებოდა შემდეგი კითხვებისგან: ა) დედა ენის დანიშნულება და მისი სწავლების დაყენება ჩვენს განახლებულ გაეროვნებულ სკოლებში; ბ) სასაუბრო და სამწერლო ენის დაახლოვება მწიგნობრულ ლიტურჯურულ ენასთან; გამომეტყველი და აზრობის კითხვა. დ) რა არის საჭირო იმისთვის. რომ მოეწიასთ, გამოძებნოთ სასწავლო მეთოდი და სხვა. მოხსენება მეტად მარტივი და შეინახიანი იყო. მოხსენებას შემდეგ განიარა საუბარი. ბ ინსტრუქტორი უფრო ვრცლათ ჩერდება მოხსენების თვითველ მუხლებზე და ყოველ მხრივ არკვევს მას და გამოყავს შემდეგი დასკვნა: ა) მიეტყეს განსაკუთრებული ყურადღება სკოლაში ენის სისწორეს, ვარკვეულობას და გამოძებნულიყენებას; ბ) ენის ვასსწორებლობა და სავარჯიშოთ შემოღებულ იქნას ხებიარი რეფერატები ყველა განყოფილებებში და კლასებში მოწაფის შეაბეჭდილობა—დაკვირებიდან, სადაც ეს შესაძლებელია, წერილობითაც; გ) მასწავლებელი უნდა ეცადოს და წინასწარ მოემზადოს, რომ ის ვარწმობა, რომელიც განიკლიდა ავტორი თხზვის დროს, ვადასცეს მოწაფეებს, როგორც შინაარსის, ისე გარეგნული ფორმის მხრით; ლექსები წინასწარ უნდა იკითხებოდეს მასწავლებლის მიერ, რომ მეტა შთაბეჭდილება დასტოვოს მოწაფეში. სასურველია ყველა ლექსების და იგავ-არაკების მასწავლებლის მიერ ხებიართა ცოდნა. არაკები და ისეთი ნაწარმოები, რომლის თამაში შეიძლება—სკოლაშივე თამაშის (სცენის) წარმოდგენის სახით, შესრულებულ იქნას მოწაფეების მიერ სათანადო მიმიკით და დეკლამაციით; დ) დაწყებითს სკოლებში და უმ. დაწყებითის პირველ ორ კლასში სასურველია არ იქნებოდეს შემოღებული გრამატიკის წიგნებით სწავლება; ე) უმოაერესი ყურადღება უნდა მიეტყეს სასცენო ნიშნების დასმას და აზრის ერთი-მეორესთან დაკავშირებას.—დამოკლებას. ყველა ეს ღებულებები მასწავლებელთაგან ერთხმით იქნა მიღებული. რუსული ენის სწავლების შესახებ მოხსენებას კითხულობის მასწავლებლები ქალი და თიხაძის. მომხსენებელი უმოაერეს ყურადღებას აქცევს რუსული ენის გამომეტყველებითი კითხვას და წაკითხულის ვგვებას. ინსტრუქტორის ზოგადი შეწოაობებით, გამომწევაებულ იქნა დებულებებში რუსულის და საერთო უტბა ენების სწავლების შესახებ.

თვითველთა მასწავლებლის და ინსტრუქტორის მიერ ვგავსინჯულ იქნა ყველა სკოლის რვეული. მასწავლებლებს აწინააღმდეგებოდა ნაქლი და გამოსაქვეს აკინაი ასი ერთიი ავარჯიშო-

ების შესახებ. ბ გოგუაძის მოხსენებას შემდეგ შემუშავებულ და მიღებულ იქნა შემდეგი დებულებები: ა) პირველი განყოფილების მასწავლებლებს დაედადა ეს შესაძლებელი იქნება, უნდა შეთავაზონ ყველა კალიგრაფიული წესება; ბ) წერა უნდა ხდებოდეს უსათოლ წესით; ცალკე ასოების რამოდენიმე წყარის წერა არ არის მიზანშეწონილი. ასათი ასო უნდა დიწეროს არა მეტა ორბაწყარისა. ასათი ასო, რაც შეიძლება, მეტ სიტყვებში იქნას შეტანილი; გ) რამდენათაც შესაძლებელია, მასწავლებელმა უნდა გამოახანოს სიტყვები და ამ ასოს სხვა და სხვა სიტყვები უნდა იქნას მოწაფის მიერ შეტანილი რვეულში; დ) მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, იქნას შემოღებული კალიგრაფიული წერა-ჯიშობა; ე) წესითი ვარჯიშობა განყოფილებებში და კლასებში იყოს, რაც შეიძლება, სხვა და სხვა გვარი და მეტი ყურადღება მიექცეს თებებს. მოწაფეს მიეტყეს საშუალება თავისუფალ გამოაქმნას და აზროვნების; ე) წერა, რაც შეიძლება ნაწილი და ცოტ-ცოტა.

მთომეტაკურ საგნების სწავლების შესახებ. ინსტრუქტორი მითითებებს ამხანაგ მასწავლებლებს პრაქტიკულ სწავლებებზე. თვალსაშინაო სწავლების რამოდენიმე მაგალითებს დაემატე თვალსაშინაო ცოცხლათ ხატავს და ამბობს: მათმეტაკურ საგნების სწავლება პირველი ხანებში უნდა ხდებოდეს დაბარატორიული წესით. რაც მოწაფეები თვალსაშინაო ვგენობისა ში თუ იმ მათმეტაკურ საგნის, შემდეგ უნდა ხდებოდეს გაღსელა თოლიკურ მსჯელობას და სხვა.

ასათი ვრცლათ, 2 საათი და 40 წუთის, და პარაკოს ბუნების მეტყველებაზე. მოხსენების უმთავრესი დებულებები შემდეგია: ა) რა მიზანი იქნას სახალხო სკოლებში ბუნების მეტყველების სწავლება; ბ) საიდან უნდა იწყებოდეს ბუნების მეტყველების სწავლება; გ) ასეილი ბინადრიათა ვგარაღობა და სხვა; დ) როგორ უნდა ისწავლებოდეს ბუნების მეტყველების საგანი—როცა სწავლობათ ცოცხალ არსებას, მარტო ამ ცხველის შორით იწერა და მისი სხეულების მარტო ნაწილების მხოლოდეს ვგარაღობათ სარგებლობას ვგ მისცეს მოწაფეებს. ეს უნდა ხდებოდეს ცოცხალ ბუნებაში. საერთო დაკვირვებიდან ცოცხალ არსებას როცა ვგ სწავრობ, ვოი და იგვევ საგანი მეიძობა ვგაიროთ რამოდენიმეველ. თანდათანობათ. ცოცხალი ბუნების შესწავლის დროს უტილობლათ უნდა ვგინდად თოთგოური პრინციპი. აღწერა ცხველებს

ლებს, და მცნარებების უნდა სდებოდეს ბუნების
 ცხოვრებასთან დაკავშირებით, მაგ.: სიდ სსოპრობის,
 რისთვის, და როგორი არის ყველა მცნარებს აქვს
 თუ არა ისეთი ფესვი და მით უფრო ისეთი ფო-
 თოლი, რომელიც შეგვეტება ჰაერს?) გეოგრაფი-
 სწავლება უნდა სწარმოებდეს ინდუქტიური მეთო-
 დით და სხვა. დასასრულ მოსწავნილ იქნა გამგეო-
 ბის მოხსენება და წლიური ანგარიშები. ანგარიშე-
 ბი დამატკიცებულ იქნა, როგორც სარგებოთა კო-
 მისიის, ისე კრების მიერ. შემდეგ შემუშავებულ
 იქნა კრების წესრიგი. კრებამ იქონია მსჯელობა,
 გაეცნო სრულიად საქართველოს მასწავლებელთა
 კავშირის მოწოდებას და დაადგინა, ყველა მასწავ-
 ლებლებმა თებერვლის ჯამაგირიდან გაიღოს თავი-
 ანთი წელიწადი, მოაკრთონ დახმარება მოწოდებებს
 შორისაც და გადაგზავნონ თბილისში კავშირის სა-
 ხელზე. თვისი დამხმარე კომიტეტები წარმოიმადგენ-
 ლად კავშირში აგზავნის ლ. წულაძეს და ვლ. და-
 თუნაიშვილს. დადგენილ იქნა ყველა მასწავლებლებ-
 მა გამოიწვიოს თურნალი „ვანათლებელ“. ამისათვის
 დაგვიდოს თვითველ მასწავლებლებს თებერვლის ჯამა-
 გირებიდან შეიტანოს 150 მან. საჯაროებულთა გაი-
 ხადოს თვითველმა სკოლამ გამოიწვიოს თურნალი
 „ჯგუჯილი“ და „ნაკადული“. სანიმუშო გაკეთ-
 ლების მიერაც ყველა მასწავლებლისათვის საჯარო-
 ბულთა, ის უნდა დაიწყოს პირველი კვირიდანვე
 დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობაში არჩეულ
 იქნენ ლაერენტი და ზაქარა წულაძეები და გრ. მ-
 ხარაძე. სარგებოთა კომისიაში ვიქტორ მახარაძე,
 ვ. მგვლიაძე და ვლ. დათუნაიშვილი. კრება გაგრძე-
 ლა ორ დღეს.

გრამა მახარაძე

კომისია — ბასსუჩი.

კომისია.— უწინ საგლეხო ბანკიდან ყიდუ-
 ლობდენ მიწის და სრულ მის შესაკეთებლ მაშინ
 სდებოდენ, როცა მიწის საფასურის შეტანას მო-
 ასასრულებდენ. ზოგმა რვეოლუტეიამდე ვერ მოასწრო
 მიწის სრულიად გამოყიდვა. როგორცა დღეს ასეთი
 მიწის საქმე.

ბასსუჩი.— მიწათმოქმედების სამინისტროს
 განმარტებით, როდესაც უძრავ ქონების ყიდვის წე-
 სი საშუალოდ შესრულებული არ არის, მამული
 შეიკავდება საკუთრებად არ ჩაითვლება და ფონდში
 ვალდირებულ უნდა იქნეს. ამის თანახმად კითხვაში
 აღნიშნული მიწაც ფონდში ვალდირიცხება. ხოლო
 თუ ასეთი მიწა მყიდველის ფაქტიურ სარგებლობა-

შია და მისთვის ის აუკეთებელ საქართველოს შე-
 ადგენს, საშარო ვრობის გამგეობამ მისიონერულ
 მწვერბის განაწილების დროს მიიღეს მსჯელობაში
 ამ გაგრძელებას და უპირატესობის მყიდველს და მის
 ფაქტიურ მფლობელს მიანიჭებს.

მადრიქლად ოზურგეთის კუთრის ფინდის
 სახაზრო კომიტეტის მერ შემდეგი შემო-
 წირულუბანი:

1. ტროფიმე რამიშვილისაგან სოფ დიდ-ვან-
 ში შეკრებილი 15030 მანეთი. 2. შულ. თომა
 სახაშვილისაგან შემოქმედის თამარ შეკრებილი
 27806 მან. 3. მისწავ. ვასო კილაძისაგან სირაო-
 ლის სკოლის მოწოდებში შეკრებილი 160 მ. 35 კ.
4. ვლადიმერ ქართველიშვილისაგან შუა-სურგების
 თამარ შეკრებილი 4368 მან. 15 კაბ. 5. შუა-სურ-
 გების პირველ დაწ. სასწ. გამგის ნ. ტრაპაძისა-
 გან მოწოდებში შეკრებილი 222 მან. 50 კაბ. 6.
 აქანის თემის გუროს ფონდის* კომიტეტის თავ-
 მჯდომობის არსენ ჩაიძისაგან 13932 მან 32 კაბ.
7. არსენ თოდრაძისაგან ეკეტას რამში შეკრ-
 ებილი 9483 მან. 50 კაბ. 8. ამილახვრის თემის გამ-
 გეობიდან სენგებულ თ მ ს ფარვლავში შეკრებ-
 ლი 17418 მან 9 ჯუშაძის სახეობა გუროს ფონ-
 დის* კომიტეტისაგან ჯუშაძის თამარ შეკრეო-
 ბილი 4861 მან. 10. გიბუჩაძე ცეცხლობისაგან შე-
 მოქმედის სოფ ფაქარში შეკრებილი 865 მან.

გნობის მომგებმა გრაგულ დაუბაძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

ბ.ხმაროს მომხმარებელ საზოგადოება
 „ვანშირთველობის“ გამეკობა ამით იცხადებენ,
 რომ ამა 1920 წლის 16 აპრილს, შუადღის
 12—საათზე, ახალი ზტალით, დანიშნულია
 ოზურგეთის სახაზრო ერთობის შენობაში
 საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაეცემა იჯა-
 რით აღნიშნულ საზოგადოების ექვლეა დაწე-
 სებულუბები მიძინებარე წლის სეზონისათვის.
 საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების
 მსურველვარმა წინდაწინ ჯნდა წარმოუდგინონ
 გამეკობას ვიწარო (ზალთკი). ვიწაროების
 გაეკება შეიძლება ოზურგეთში ერთობის საა-
 გილ-მამელო განყოფილებაში გაბეჭ ივანე
 ბეგლარის-მე დღონტონ.—